Caritas Czech Republic

# საქართველო



## ჰუმანიტარული დახმარება თანამშრომლობისა და განვითარების საკითხებში

## ისტორია

- საქართველოს დახმარება 2008 წლიდან, რუსეთთან კონფლიქტის შედეგად გაჩენილი საჭიროებების საპასუხოდ და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად.
- მუდმივი წარმომადგენლობა თბილისში გაიხსნა 2015 წლიდან.
- საველე ოფისი ხულოში, აჭარის მაღალმთიანეთში, გაიხსნა 2017 წლიდან.

## ჩეხეთის კარიტასის ქსელი

- სათავო ოფისი მდებარეობს პრაღაში, ჩეხეთი
- საქმიანობს 5 ქვეყანაში: მოლდოვა, ერაყი, ზამბია, მონღოლეთი და კამბოჯა
- კარიტას–ევროპის და კარიტას–ინტერნაციონალის წევრი




## დამატებითი ღირებულებები

- განხორციელების ძლიერი შესაძლებლობები
- სისტემური გადაწყვეტილებების მიღება საქართველოს მთავრობასთან და ადგილობრივ სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობით
- სპეციალიზებულია პოსტკომუნისტური ქვეყნების განვითარების საკითხებში, ჩეხეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით.
- მცირე მისიების საშუალებით კარგად ჩანს, თუ რა თანხები იხარჯება თითოეული საქმისთვის




## სტრატეგიული პრიორიტეტები

- ჯანდაცვა და სოციალური სერვისები
- სოფლის განვითარება
- გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

## დაფინანსება

- ბიუჯეტის 95%-ზე მეტს ფარავს ინსტიტუციური დონორი
- თანადაფინანსება, როგორც წესი, მოპოვებულია ადგილობრივი ჩეხური ორგანიზაციებიდან

## ძირითადი დონორები

- ჩეხეთის განვითარების სააგენტო
- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამა (ENPARD)
- ჩეხეთისა და გაეროს განვითარების პროგრამის სამეურვეო ფონდი
- სლოვაკური დახმარება
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)

ხ3

## ხარისხის გარანტია

- 2021-2027 წწ.-ის DG ECHO სერტიფიკატის მფლობელი (შეფასებულია აუდიტის (Deloitte) უმაღლესი ქულით – 10/10)
- შიდა მონიტორინგის შეფასების ანგარიშვალდებულება,სავალდებულო ანგარიშგების მოთხოვნები, მოწესრიგებული პოლიტიკა (უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, საჩივრების მექანიზმი).
- დაფინანსების მართვის მონიტორინგი, რომელიც განსაზღვრავს დაფინანსების შესაძლებლობებს, თანამშრომლობს დონორთა საზოგადოების მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან და ასრულებს მათი კონტროლის ფუნქციებს.

ა

## ანგარიშვალდებულება

- ჩეხეთის კარიტასის პრიორიტეტია იმ ინდივიდებთან და თემებთან ურთიერთობისას, რომლებსაც ეხმარება, იმოქმედოს პრინციპით – „ნუ მიაყენებ ზიანს“.
- დაცვის სპეციალური ზომები შესაძლებლობას აძლევს ორგანიზაციის ყველა ბენეფიციარს, რომ შესაბამისი არხებით გამოთქვას საკუთარი შეშფოთება ან წამოაყენოს ბრალდება, როცა ჩეხეთის კარიტასის თანამშრომლების მხრიდან ადგილი აქვს არასათანადო მოპყრობას.
- სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის დროს მოქმედებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა.
- თაღლითობის, კორუფციის, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ღონისძიებები და ტერორიზმის დაფინანსებისა და გარემოს დაცვის საწინააღმდეგო ქმედებების პრევენცია.



## ინოვაცია

ინოვაცია

- ინტეგრირებული ელექტრონული ინფორმაცია ჯანდაცვის მენეჯმენტის შესახებ, მობილური აპები და ტელემედიცინისა და ელექტრონული რეფერალური მომსახურების დანერგვა.
- აქცენტი სოფლის განვითარებაზე, ქვეყნის ნაკლებად ხელმისაწვდომ და ნაკლებად განვითარებულ მაღალმთიან რეგიონზე.
- სწრაფი რეაგირება და ქმედებები კოვიდ-19-ის პანდემიის დროს.



## პერსონალი

- დაახლოებით 15 ადამიანი სამუშაოდ განაწილებულია ორ ოფისში
- სათავო ოფისის დაახლოებით 25 თანამშრომელი საქმიანობს ფინანსური მენეჯმენტის, შეფასება-მონიტორინგის, კომუნიკაციისა და ანგარიშგების სფეროებში.

# ძირითადი პროექტები

- სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში – სტრატეგიის შემუშავება მდგრადი განვითარებისთვის მცირე გრანტების, ტრენინგებისა და ოპტიმალურ დონეზე რესურსების გამოყენების საშუალებით (CZDA-ის და ENPARD-ის დაფინანსებით).
- პირველადი ჯანდაცვის სისტემის ხარისხის გაუმჯობესება – სისტემური გადაწყვეტილებების მიღება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, რაც ხელს შეუწყობს არაინფექციური დაავადებების მქონე პაციენტების ჯანმრთელობის უკეთ პროგნოზირებას პირველადი ჯანდაცვის ხარისხის დანერგვით, მართვის ინსტრუმენტების, სტანდარტიზებული ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამედიცინო საკვალიფიკაციო სტანდარტების დანერგვით (CZDA-ის დაფინანსებით).
- გზა შინისაკენ – ზრდასრულთა ალტერნატიული სოციალური სერვისების განვითარება საქართველოში – ზრდასრულთა ალტერნატიული მოვლის სისტემის შექმნა, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.
- ბავშვთა გრძელვადიანი და პალიატიური მზრუნველობის სერვისები – ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური სერვისებისთვის ახალი სტანდარტების შემუშავება მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის (CZDA-ის დაფინანსებით).
- აუტიზმის სპექტრის მქონე პირების სერვისების გაფართოება და გაუმჯობესება (CZDA-ის დაფინანსებით).

წარმომადგენლობა ქვეყანაში

- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიისთვის მდგრადი ნარჩენების მართვის სისტემის შემუშავება – ინოვაციური და მდგრადი მართვის სისტემა ჩეხური გამოცდილების საფუძველზე (UNDP-ის დაფინანსებით).
- მწვანე აქტივობების მხარდაჭერა ონის მუნიციპალიტეტში – ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის შექმნა ეხება ნარჩენების მართვის ადგილობრივ კონტექსტს და უზრუნველყოფს დამატებით რესურსებს ადგილობრივი სოფლის განვითარებისათვის (სლოვაკეთის დაფინანსებით).
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კომპონენტის გაძლიერება კოვიდ-19-ის პანდემიის დროს – ერთი პროექტი უზრუნველყოფს კლინიკური მიმართულებების განვითარებას, ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ვირტუალური ვიზიტებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის მონაცემების ინტეგრაციას რეალურ დროში მოცემული ელექტრონული მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში; მეორე პროექტი უზრუნველყოფს კოვიდ-19-ის პერიოდში დაბადებულ ჩვილთა და დედათა პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობას, რასაც საფრთხე შეექმნა გაუმართავი ჯანდაცვის სისტემის და სერვისების შეფერხების გამო (UNICEF-ის დაფინანსებით).
- სწრაფი რეაგირება კოვიდ-19-ზე – მატერიალური და ფინანსური ჰუმანიტარული დახმარების დარიგება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის შესამსუბუქებლად (სლოვაკეთის დაფინანსებით).

2008...




**ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში**

კარტოზიას ქუჩა 8, IV კორპუსი,

I სადარბაზო, IX სართული, ბინა 24,

თბილისი, საქართველო.

ccrg@caritas.cz

www.georgia.charitas.cz

www.facebook.com/CCRGeogria2015

twitter.com/CaritasCzech

www.linkedin.com/company/caritas-czech-republic

bit.ly/CCRGeorgia